ოქმი N4

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი 2017 წლის 15 თებერვალი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 28 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 28 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N64 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: შ. ჭილაია, მ. ლემონჯარია, ლ. ლოლუა)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: თ. გულუა - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რამდენი იყო ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სახელფასო ფონდი და ამჟამად რამდენს შეადგენს ახალდაფუძნებული ა(ა)იპის სახელფასო ფონდი. მისი ინფორმაციით ოპტიმიზაციის შედეგად ეკონომია არ ყოფილა, პირიქით გაზრდილია ბიუჯეტი.

ე. ჯობავა - სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ოპტიმიზაციის შედეგად მიღებული ეკონომიის თანხების მიმართვა, სხვა მიმართულებით აუცილებელი არ იყო. საჭიროდ იქნა მიჩნეული გამონთავისუფლებული თანხები მიმართულიყო კულტურის ცენტრის შიდა რეფორმირებისთვის.

რ. შულაია - გამგეობის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის განცხადებით, პრიორიტეტად მიჩნეულ იქნა სპორტი და ქორეოგრაფია, გამომდინარე აქედან, ეკონომიიდან მიღებული თანხები მიმართულ იქნა მათი განვითარების ხელშეწყობისთვის.

ე. წურწუმია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ, ოპტიმიზაციის შედეგად შტატები არ შემცირებულა, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, ძველი კადრები იყო გასაშვები და ახალი მოსაყვანი. მას ეს გარემოება საეჭვოდ ეჩვენება.

ბ. ბერაია - ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრის“ უფროსის განცხადებით, ოპტიმიზაცია არ ნიშნავს იმას, რომ მაინც და მაინც განხორციელებულიყო შტატების შემცირება. საერთო ჯამში შტატი შემცირდა 15 ერთეულით, გადახალისება მოხდა და კვალიფიცირებული კადრებით იქნა შევსებული, რათა გაერთიანების შემდგომ ახალმა ცენტრმა იფუნქციონიროს უფრო მოქნილად და ეფექტურად.

ე. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ რეორგანიზაციის შედეგს დრო აჩვენებს. იმედი გამოთქვა, რომ ა(ა)იპ უფრო მოქნილად და ეფექტურად იფუნქციონირებს.

ე. წურწუმია, თ. გულუა - გამომსვლელებმა მოითხოვეს, მათთვის გამგეობის შესაბამისი სამსახურიდან წერილობით მიეწოდებინათ ინფორმაცია, თუ რამდენი იყო ა(ა)იპ-ის ბიუჯეტი ოპტიმიზაციამდე და ამჟამად რამდენს შეადგენს, ასევე მოითხოვეს საშტატო ნუსხაც.

მ. ქარდავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული დაცვის პოლიციის სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, კულტურის სახლს იცავს დაცვის პოლიციის თანამშრომლები, მისი აზრით ხომ არ აჯობებდა, დროებით შეეწყვიტათ ხელშეკრულება, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული შენობის სრული რეაბილიტაცია ხორციელდება, რომელიც მინიმუმ ერთი წელი გასტანს, ხოლო გამონთავისუფლებული თანხა სხვა ღონისძიებისთვის მიემართათ.

ტ. ალექსანდრია, რ. გვარამია - გამომსვლელებმა განმარტეს, რომ კულტურის სახლს აუცილებლად უნდა იცავდეს დაცვის პოლიცია, რადგანაც იქ ამჟამადაც ინახება უამრავი ინვენტარი.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი სახის ცვლილება: 349,7 ათასი ლარით მცირდება ბიუჯეტის ხარჯები, კერძოდ პრიორიტეტის „განათლება“ ასიგნებები (ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი"-ს სუბსიდია); 423,7 ათასი ლარით პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია ახალგაზრდული

და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებები. ნაშთიდან ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებში აისახოს 26,1 ათასი ლარი. სულ ნაშთის 26,1 ათასი ლარი და გამოთავისუფლებული 773,4 ათასი ლარი, სულ 799,5 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად: პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნებებზე 1,3 ათასი ლარი; პრიორიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ასიგნებებზე 18,9 ათასი ლარი; 779,3 ათასი ლარი პრიორიტეტის „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები“ ასიგნებაზე (ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებო საზოგადოებრივი ცენტრი“-ს სუბსიდია). ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 აპრილის N15 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა, ანუ შემოსულობების გეგმა შეადგენს 8243,8 ათას ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის წარმოდგენილის სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 2 (თ. გულუა, რ. სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N3 ოქმს თან ერთვის)

2. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N64 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ვ. გაბედავა - ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის

მოისმინეს: ზ.ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში 2017 წელს დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N64 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (გ. სიჭინავა) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

გ. სიჭინავა - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მომზადდა წინადადებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წლისთვის განსახორციელებელ სამუშაოებთან დაკავშირებით, რაც მოწონებულ იქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N64 განკარგულებით. ამ ეტაპზე წარმოდგენილ N64 განკარგულებაში ცვლილების პროექტით მოწონებულ პროექტებს ემატება ორი ობიექტი: საგვიჩიოს ადმინისტრაციულ ერთეულში ცემენტო-ბეტონის გზის მოწყობისა და საჯიჯაოს ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოების სახით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N6 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა

მესამე მოწვევის საკრებულოს 2017 წლის 15 თებერვლის რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ტარიელ ალექსანდრია
5. დოდო გაბუნია
6. ლაშა ცატავა
7. ნუგზარ შუშანია
8. ლევან ქავთარაძე
9. თემურ გულუა
10. როსტევან გვარამია
11. მალხაზ ლაგვილავა
12. ედიშერ წურწუმია
13. თენგიზ აბაკელია
14. ვასილ კუკავა
15. ლეონიდე ლოლუა
16. მერაბ ფილიპია
17. ბეჟან ქირია
18. მელორ გელანტია
19. იგორ გოგოლაძე
20. მზია ლემონჯარია
21. შადიმან ჭილაია
22. ფრიდონ შონია
23. კახა ლატარია
24. მალხაზ ყურუა
25. ქეთევან ოდისარია
26. კახა მიქაბერიძე
27. გიორგი ხურცილავა
28. როლანდ სერგია